

ნაწილი „ა“

1. „ზამბეზე ჯგუფი“

ქვემოთ წარმოდგენილია საფონდო ბირჟაზე კოტირებული საწარმოს, „ზამბეზეს“ ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სამუშაო ვარიანტი:

	2006	2005
	\$ მლნ	\$ მლნ
აქტივები:		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	1,315	1,005
გუდვილი	30	25
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	270	290
	<u>1,615</u>	<u>1,320</u>
მიმდინარე აქტივები:		
სასაქონლო მარაგი	650	580
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	610	530
ფული ბანკში და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	50	140
	<u>1,310</u>	<u>1,250</u>
მთლიანი აქტივები	<u>2,925</u>	<u>2,570</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:		
სააქციო კაპიტალი	100	85
საემისიო კაპიტალი	30	15
გადაფასების რეზერვი	50	145
დაგროვილი მოგება	254	250
	<u>434</u>	<u>495</u>
არამაკონტროლებელი წილი	60	45
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	<u>494</u>	<u>540</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები	850	600
მიმდინარე ვალდებულებები	1,581	1,430
მთლიანი ვალდებულებები	<u>2,431</u>	<u>2,030</u>
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>2,925</u>	<u>2,570</u>

2006 წლის 30 ივნისისათვის ჯგუფის სრული შემოსავლის ანგარიშების საშუალო ვარიანტი

	\$ მლნ
ამონაგები	4,700
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,400)
საერთო მოგება	<u>1,300</u>
ადმინისტრაციული და კომერციული დანახარჯები	(600)
ფინანსური დანახარჯები (გადასახდელი პროცენტი)	(40)
წილი მეკავშირის მოგებაში	30
მოგება დაბეგვრამდე	<u>690</u>
მოგების გადასახადი (მეკავშირის მოგების გადასახადის, \$ 10 მლნ-ის ჩათვლით)	(210)
პერიოდის მოგება	<u>480</u>
უცხოური კურსის სხვაობა მეკავშირე საწარმოში	(5)
გაუფასურების ზარალი ძირითად საშუალებებზე	(95)
გადაფასების ნამეტის გადაფარვა	
მთლიანი სრული შემოსავალი	380
განაწილება:	
სათავო საწარმოს საკუთარი კაპიტალი მფლობელებს	355
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	25
მთლიანი სრული შემოსავალი	<u>380</u>

საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშების საშუალო ვარიანტი 2006 წლის 30 ივნისისათვის

	\$ მლნ
მთლიანი სრული შემოსავალი	355
გადახდილი დივიდენდები	(446)
გამოშვებული ახალი აქციები	30
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	<u>(61)</u>
აქციონერთა ფონდი 2005 წლის 1 ივლისის მდგომარეობით	495
აქციონერთა ფონდი 30 ივნისისათვის	<u>434</u>

„ზემბეზესთან“ დაკავშირებით არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

- (i) 2005 წლის 1 ივლისს „ზამბეზემ“ შეიძინა 70%-იანი წილი „დამფში“, საფონდო ბირჟაზე კოტირებულ საწარმოში. შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულებები შემდეგი იყო:

	\$ მლნ
ძირითადი საშუალებები	70

გადახდის კომპენსაცია შედგებოდა ნაღდი ფულის სახით გადახდილი \$100 მლნ-ისა და გადავადებულ \$25 მლნ-ისაგან (დისკონტირებული ღირებულება), რომელიც 2006 წლის 1 ივლისს უნდა იქნეს გადახდილი. სხვაობა გადავადებული კომპენსაციის დისკონტირებულ ღირებულებას (\$25 მლნ) და გადასახდელ თანხას (\$29 მლნ) შორის ჩართულია „გადასახდელ პროცენტში“. „ზამბეზეს“ სურს რეტროსპექტულად შექმნას „დამფის“ შექმნასთან დაკავშირებული რეკონსტრუქციის დანახარჯების ანარიცხი \$10 მლნ-ის ოდენობით. ეს ანარიცხი ჯერ შექმნილი არ არის.

- (iii) წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების გაყიდვას ადგილი არ ჰქონია. პერიოდის განმავლობაში რეალიზებული პოლუქციის თვითღირებულებაში ასახულმა ცვეთამ შეადგინა \$ 60 მლნ.

მიმდინარე ვალდებულებები შემდეგი მუხლებისაგან შედგება:

	2006	2005
	\$ მლნ	\$ მლნ
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,341	1,200
გადასახდელი პროცენტი	50	45
გადასახადები	190	185
	<u>1,581</u>	<u>1,430</u>

- (iv) გრძელვადიანი ვალდებულებები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

	2006	2005
	\$ მლნ	\$ მლნ
გადავადებული კომპენსაცია - „დამფის“ შექმნა	29	--
ძირითადი საშუალებების შექმნის ვალდებულება	144	--
გადასახდელი სესხები	621	555
გადავადებული გადასახადების ანარიცხი	30	25
საპენსიო სარგებლის ვალდებულება	26	20
	<u>850</u>	<u>600</u>

- (v) საპენსიო სარგებლის ვალდებულება შედგება შემდეგისაგან:

	\$ მლნ
ცვლილება წლის განმავლობაში:	
ვალდებულება 2005 წლის 1 ივლისს	20
მოგება-ზარალში ასახული მიმდინარე და წარსული მომსახურების დანახარჯები	13
საპენსიო სარგებლის სახით გადახდილი შენატანები	(7)
ვალდებულება 2006 წლის 30 ივნისს	<u>26</u>

წლის განმავლობაში აქტუარულ შემოსულობას ან ზარალს ადგილი არ ჰქონია.

- (vi) 2006 წლის 30 ივნისს გუდვილს ჩაუტარდა გაუფასურების ტესტი. არსებული გაუფასურება ჩართულ იქნა 2006 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- (vii) ფინანსურმა დირექტორმა დააარსა საწარმო „რივერი“, რომლის მეშვეობითაც „ზამბეზე“ ახორციელებს საკუთარ საინვესტიციო საქმიანობას. წლის განმავლობაში „ზამბეზემ“ „რივერსს“ \$ 400 მლნ გადაუხადა, რომელიც აისახა გადახდილ დივიდენდებში. ფული ინვესტირებულ იქნა ინვესტიციების სპეციალურ პორტფელში. მოგების 95 % და ზარალის 5% ინვესტიციების პორტფელში გადაეცემა „ზამბეზეს“. ინვესტიციების ინვესტიციების მენეჯერს ეკისრება პასუხისმგებლობა საწარმოს საინვესტიციო საქმიანობაში. ინვესტიციებში. იგი სრულად ფლობს „რივერის“ სააქციო კაპიტალს. ინვესტიციების მმართველსა და „ზამბეზეს“ შორის არსებული შეთანხმება გასაზღვრავს საოპერაციო სახელმძღვანელო მითითებებს და უკრძალავს ინვესტიციების მმართველს ინვესტიციების საკუთარი სარგებლობისათვის გამოყენებას. მოგება-ზარალის ყოველწლიური გადარიცხვა შედგება 30 ივნისს, ხოლო კაპიტალი დაბრუნებული იქნება 4 წლის შემდეგ. \$ 400 მლნ-ის გადაცემა ნაღდი ფულის სახით შედგება 2006 წლის 1 იანვარს, მაგრამ მოგება-ზარალის გადაცემა ჯერ არ მომხდარა. „რივერის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისს შემდეგია:

„რივერსი“ - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისისათვის

	\$ მლნ
ინვესტიცია რეალური ღირებულებით მოგება- ზარალში ასახვით	390
	390
სააქციო კაპიტალი	400
დაგროვილი მოგება	(10)
	390

მოკეთხოვებით:

ა) მოამზადოთ „ზამბეზე ჯგუფის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისათვის არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით;

(35 ქულა)

ბ) იმსჯელოთ იმ საკითხების შესახებ, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება, უნდა მოხდეს თუ არა „რივერის“ კონსოლიდირება „ზამბეზეს“ მიერ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში;

(9 ქულა)

გ) მოკლედ იმსჯელოთ ეთიკური ქცევის გავლენაზე ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და იმის შესახებ, თუ რამდენად ეთიკურია „ზამბეზეს“ დირექტორის მიერ „რივერის“ შექმნა.

(6 ქულა)

ორი ქულა გამოყოფილია „რივერის“ კონსოლიდაციისა და ეთიკური ქცევის შესახებ მსჯელობის ხარისხისათვის.

(სულ: 50 ქულა)

ნაწილი „ბ“ - კასუსი უნდა გაეცეს მხოლოდ 2 შპს-ს:

2. „ელექტრონი“

საფონდო ბირჟაზე კოტირებული საწარმო, „ელექტრონი“, საქმიანობს ენერგეტიკის სფეროში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საწარმო მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად იგი ამზადებს საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებას 2006 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისათვის.

„ელექტრონი“ ყიდულობს და ყიდის ნავთობს. ამ ეტაპზე მას გააჩნია რამდენიმე სავაჭრო კონტრაქტი. კონტრაქტები ნავთობის შესყიდვის თაობაზე აისახება, როგორც გრძელვადიანი აქტივები და ამორტიზდება მათი ვადის განმავლობაში. ნავთობის გაყიდვის შესახებ კონტრაქტის მიღებისას, კონტრაქტის ღირებულების 50% აღიარდება დაუყოვნებლივ, ნაშთი კი კონტრაქტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. კონტრაქტს ყოველთვის მოსდევს საქონლის მოტანა.

(4 ქულა)

„ელექტრონი“ ააშენა ეკოლოგიურად ეფექტური ელექტროსადგური. მთავრობისაგან საქმიანობის ნებართვის შესახებ ლიცენზიის მოსაპოვებლად საჭირო პირობაა, სადგურის ლიკვიდაცია მისი 20 წლიანი სასარგებლო ვადის ამოწურვის შემდეგ. ელექტროსადგურის აშენებაზე დაიხარჯა \$100 მლნ. პროდუქციის წარმოება მან დაიწყო 2005 წლის ივლისში. ელექტროსადგურს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით. 2006 წლის 30 ივნისს, „ელექტრონის“ შეფასებით სადგურის ადგილმდებარეობის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა დაჯდება \$15 მლნ (მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება) დისკონტირების 5%-იანი განაკვეთის გამოყენებით. ამ დანახარჯების 95% უკავშირდება ელექტროსადგურის აგებას, 5% კი – ენერჯის წარმოქმნით გამოწვეულ ზარალს.

(7 ქულა)

2006 წლის 30 ივნისს „ელექტრონი“ კონკურენტ საწარმოს იჯარით გადასცა შედარებით ნაკლებად ეფექტური ერთი ელექტროსადგური. იურიდიული და სარგებლობის უფლებები „ელექტრონი“ რჩება და, იმ შემთხვევაში, თუ „ელექტრონი“ რომელიმე ელექტროსადგური ვერ გამოიმუშავებს ენერჯიას, „ელექტრონი“ შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმება. იჯარით გაცემული ელექტროსადგური აისახება როგორც ჩვეულებრივი იჯარა. მისი შემოსავლის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება \$40 მლნ აღიარდება მოგება-ზარალში. ელექტროსადგურის რეალური ღირებულება 2006 წლის 30 ივნისს \$70 მლნ იყო. 2006 წლის 30 ივნისს დეპოზიტის სახით მიღებულ იქნა \$10 მლნ, რომელიც ჩართულია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების გამოთვლაში.

(5 ქულა)

საწარმოს საკუთარ აქციონერებსა და თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა აქვს. მისი სტრატეგიაა წლების განმავლობაში ნელ-ნელა გაზარდოს დივიდენდები. 2006 წლის 1 აგვისტოს, მმართველმა საბჭომ გააკეთა შეთავაზება, 2006 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისათვის გადაიხადოს დივიდენდი ერთ აქციაზე 5 ცენტის ოდენობით. 2006 წლის 1 სექტემბერს გამართულ საერთო კრებაზე აქციონერები ამ დივიდენდს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად დაამტკიცებენ. ღირებულებები თვლიან,

რომ დივიდენდი უნდა დაირიცხოს 2006 წ. 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან „საფუძვლიანი მოლოდინი“ უკვე შექმნილია.

(3 ქულა)

2005 წლის 1 ივლისს საწარმომ თანამშრომლებს გადასცა აქციათა ოფციონები. ამ დროისათვის ოფციონების რეალური ღირებულება \$ 3 მლნ იყო. ოფციონები გადაეცემა 2008 წლის 30 ივნისს. ამისათვის საჭიროა, რომ თანამშრომლები კვლავ საწარმოში მუშაობდნენ სამწლიანი პერიოდის ბოლოს. გაკეთდა შემდეგი შეფასებები:

დაახლოებითი პროცენტი თანამშრომლებისა, რომლებიც დატოვებენ სამსახურს, გადაცემის პერიოდის განმავლობაში:

გადაცემის თარიღი - 2005 წლის 1 ივლისი	5 %	
2006 წლის 30 ივნისი	6 %	(4 ქულა)

ეფექტური კომუნიკაცია დირექტორებთან (2 ქულა)

მოგეთხოვბათ:

მომზადდით ანგარიში „ელექტრონის“ დირექტორებისათვის, რომელშიც განხილული იქნება, თუ როგორც აღირიცხება ზემოთ აღნიშნული სამეურნეო ოპერაციები 2006 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისი გამოთვლების მოშველიებით.

(სულ: 25 ქულა)

3. „კესარი ჯგუფი“

ქვემოთ წარმოდგენილია „კესარე ჯგუფის“ საფონდი ბირჟაზე კოტირებული საწარმოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	\$ 000
აქტივები:	
გრძელვადიანი აქტივები:	
ძირითადი საშუალებები	10,000
გუდვილი	6,000
სხვა არამატერიალური აქტივები	5,000
ფინანსური აქტივები (ღირებულება)	9,000
	<hr/>
	30,000
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7,000
სხვა დებიტორული დავალიანებები	4,600
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6,700
	<hr/>
	18,300
	<hr/>
მთლიანი აქტივები	48,300
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:	
სააქციო კაპიტალი	9,000

სხვა რეზერვები	4,500
დაგროვილი მოგება	9,130
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	22,630
გრძელვადიანი ვალდებულებები:	
გრძელვადიანი სესხები	10,000
გადავადებული გადასახადის ვალდებულება	3,600
თანამშრომელთა სარგებლის ვალდებულება	4,000
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	17,600
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	3,070
სავაჭრო და სხვა სახის კრედიტორული დავალიანება	5,000
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	8,070
მთლიანი ვალდებულებები	25,670
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	48,300

ზემოთ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებას უკავშირდება შემდეგი ინფორმაცია:

- (i) ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც „გასაყიდად არსებული“, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ ანგარიშგებაში ნაჩვენებია 2005 წლის 1 ივლისის თვითღირებულებით. 2006 წლის 30 ივნისს აქტივების საბაზრო ღირებულება \$10.5 მლნ-ია. გადასახადები გადასახდელია აქტივის გაყიდვისას.
- (ii) შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სესხზე 8%-ია. \$ 10 მლნ-იანი სესხი წარმოადგენს კონვერტირებად ობლიგაციას, რომელსაც გააჩნია ვალდებულების ელემენტი \$ 9.6 მლნ და საკუთარი კაპიტალის კომპონენტი \$ 0.4 მლნ. ობლიგაცია გამოშვებულ იქნა 2006 წლის 30 ივნისს.
- (iii) 2005 წლის 1 ივლისს დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის წესები შეიცვალა. „კერსარეს“ შეფასებით წარსული მომსახურების ღირებულების \$ 1 მლნ-ის 40 % მიეკუთვნება გადაცემულ სარგებელს, 60 % კი – სარგებელს, რომელიც ამ თარიღიდან მომავალი 5 წლის განმავლობაში გადაეცემა. წარსული მომსახურების ღირებულება ჯერ აღრიცხული არ არის.
- (iv) აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზა იგივეა, რაც 2006 წლის 30 ივნისის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მათი მიმდინარე საბალანსო ღირებულებები, გარდა ქვემოთ აღნიშნულისა:

ა.

	\$ 000
ძირითადი საშუალებები	2,400
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7,500
სხვა დებიტორული დავალიანება	5,000
თანამშრომელთა სარგებელი	5,000

- ბ) სხვა არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯებს, რომელიც სრულად გამოიქვითა საგადასახადო მიზნებისათვის, დანახარჯის გაწევისას 2005 წელს.

გ) სავაჭრო და სხვა სახის კრედიტორული დავალიანება მოიცავს თანამშრომლებისათვის გადასახდელ დარიცხულ ანაზღაურების თანხას. ეს თანხა შეადგენს \$1 მლნ-ს და გადახდისას ექვემდებარება საგადასახადო შეღავათს.

(v) ამ საკანონმდებლო სივრცეში გუღვილი არ გამოიქვეითება დაბეგვრისას.

(vi) იგულისხმეთ, რომ გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს 30%-იანი განაკვეთით.

მოგეთხოვებათ:

ა) იმსჯელოთ გადავადებული გადასახადის აღიარების კონცეპტუალური საფუძვლის შესახებ, დროებითი სხვაობების მიდგომის გამოყენებით. **(7 ქულა)**

ბ) გამოთვალეთ გადავადებული გადასახადის ანარიცხი 2006 წლის 30 ივნისის ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა საჭირო კორექტირების შემდეგ, აჩვენეთ, თუ როგორ აისახება ანარიცხი ფინანსურ ანგარიშგებაში (იგულისხმეთ, რომ არავითარი კორექტირება გავლენას არ ახდენს მიმდინარე გადასახადზე). კანდიდატებმა მოკლედ უნდა დაახასიათონ კორექტირებები, რომლებიც საჭიროა გადავადებული გადასახადის ანარიცხის გამოსათვლელად. **(18 ქულა)**

ორი ქულა მიენიჭება მსჯელობის ხარისხისა და გადავადებული გადასახადის კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ მსჯელობისათვის

(სულ: 25 ქულა)

4. ფასს-ი

მსოფლიოში ბევრმა საწარმომ და ქვეყანამ მიიღო ფასს-ი, როგორც საკუთარი ანგარიშგების საფუძველი. ხშირად ეს ნაბიჯი მიიჩნეოდა კორპორაციული ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებად. მართალია, ერთიანი გლობალური ანგარიშგების სტანდარტების უპირატესობები აღიარებულია, არსებობს ცალკეული გამოწვევები საერთაშორისო და ნაციონალურ დონეებზე, გაუმჯობესებული და ჰარმონიული ანგარიშგების მიღწევის განხორციელების თვალსაზრისით.

მოგეთხოვებათ:

ა) იმსჯელოთ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ, ფასს-ზე წარმატებით გადასვლის თვალსაზრისით; **(18 ქულა)**

ბ) 2008 წლის იანვარში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 3 – „საწარმოთა გაერთიანება“ – რომელმაც შეცვალა იმავე სახელწოდების მქონე წინა სტანდარტი და განაახლა ბასს 27 – „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება“. ეს ცვლილებები რადიკალურად ცვლის საწარმოთა გაერთიანების შესახებ ანგარიშგების საფუძველს და უმცირესობის წილის მფლობელებთან (არამაკონტროლებელი წილი) განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებს.

იმსჯელოთ, როგორ გავლენას მოახდენს ზემოთ აღნიშნული ცვლილებები, საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვის არსებულ საფუძველზე. **(7 ქულა)**

ორი ქულა მიენიჭება მსჯელობისას წარმოდგენილი იდეებისა და ინფორმაციის ხარისხისათვის

(სულ: 25 ქულა)

